ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2205221

ნომერი: AR1342924

თარიღი : 18.09.2015

გაცემის თარიღი : 25.09.2015

გაცნობის თარიღი : 25.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გივი კარტოზია , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გერაძე პ/ნ 60001076477
- ქუთაისი ჟ.შარტავას ქ. 2 N 39 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რეკონსტრუქციის განხორციელებასთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ერთიანი იერსახის გათვალისწინებით ერთდროულად წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სამუშაოების განხორციელება თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმიობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

–..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნა დააყენეთ ერთიანი იერსახის გათვალისწინებით საჩრდილობლების მოწყობის თაობაზე და ასევე მიუთითეთ , კორპუსები რეესტრში რეგისტრაციის ნომრების მითითებით რომლებზეც ეწყობასაჩრდილობლები ასევე მიუთითეთ სართული (რომლის აივნების გადახურვაც გაქვთ დაგეგმილი);
– განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე მიუთითეთ ყველა საპროექტო ფართის ამონაწერები საჯარო რეესტრიდან წილობრივი მონაცემებით და წარმოდგენილი იქნას ყველა საპროექტო აივნის ფართის მესაკუთრეთა ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობები ან ასევე შესაძლებელია აღნიშნული პირები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად, ხოლო რაც შეეზება დასასვლელი ფართის ზევით საჩრდილობლის მოწყობას საშიროა წარმოდგენილი იქნას რმოსადგენია განახლებული ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი)28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

–ასევე გაითვალისწინეთ: ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზევით არსებული ბინის მესაკუთრის უფლებები, მის საკუთრებაში არსებული ბინის თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ზევით არსებული ბინის მესაკუთრესთან. აღნიშნული თანხმობა კი უნდა ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანვე უნდა მოგვაწოდოთ მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

–"ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: აღნიშნულზე დამატებით წარმოდგენილი იქნას სიტუაციური გენ–გეგმა საპროექტო საჩრდილობლების არეალის მონიშვნით

–ასევე გაითვალისწინეთ ვინაიდან შენობა ახლად აშენებულია, წარმოსადგენი გექნებათ პროექტის ავტორის თანხმობა წარმოდგენილი სახით რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე ;

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში ;

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.